

სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ „იპოთეკის ხელშეკრულების სპეციალური პირობებში“ (შემდგომში „სპეციალური პირობები“) შემდეგი ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანას:

1. სპეციალური პირობების მე-5 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1 იპოთეკა ძალაში შედის იპოთეკის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით (ბანკის მიერ მისი მოქმედების შეწყვეტის წერილობით დადასტურებამდე).
- 5.2 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც იპოთეკის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.
- 5.3 მხარეთა შორის კომუნიკაცია რეგულირდება იპოთეკის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.
- 5.4 მხარეები თანხმებიან, რომ ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომელიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვს მტკიცებულებითი ძალა იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
- 5.5 მესაკუთრეს არ აქვს უფლება, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს მასზე იპოთეკის ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მისთვის მინიჭებული უფლება.
- 5.6 ბანკს უფლება აქვს, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს იპოთეკის ხელშეკრულებით მინიჭებული ნებისმიერი უფლება.
- 5.7 იპოთეკის ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა და სამართალმემკვიდრეებისთვის (მათ შორის, იპოთეკის საგნის ახალი მესაკუთრისთვის). ამასთან, იპოთეკის საგნის უფლებამონაცვლე ვალდებულია, იპოთეკით დატვირთული საგნის საკუთრებაში მიღებისთანავე, მიმართოს ბანკს და მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების, მოვალეების/მსესხებლების და იპოთეკის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელიც შესაძლოა არ იყოს წარდგენილი საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ.
- 5.8 მხარეები ადასტურებენ, რომ იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა იპოთეკის ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.
- 5.9 იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის და დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, გარდა სპეციალურ პირობებში განთავსებული პირობ(ებ)ის ცვლილების ან/და ამავე პირობებში შესატანი დამატებ(ებ)ისა, რომელიც შეიცვლება ბანკის მიერ ცალმხრივად, გამოქვეყნდება წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი წესით და ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. იპოთეკის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება, მათ შორის, მესაკუთრისგან მიღებული თანხმობა,

წარმოადგენს იპოთეკის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის წარდგენილი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით.

- 5.10 თუ იპოთეკის ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. იპოთეკის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.
- 5.11 იპოთეკის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იპოთეკის ხელშეკრულების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება იპოთეკის ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას.
- 5.12 ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: 0114 თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge).

2. გაუქმდეს სპეციალური პირობების მე-6 მუხლი.